 აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

EEU

სტუდენტთა კონტინგენტის და პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 07 თებერვლის №08/01-08 ბრძანებით;
განახლებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 17 ნოემბრის №07 დადგენილებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა კონტინგენტისა და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

1.2. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია:

1.2.1. დაეხმაროს უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის სწორად განსაზღვრაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) სტუდენტთათვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობა;

გ) ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

1.2.2. საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი და მდგრადი განხორციელების უზრუნველსაყოფად აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური რაოდენობის დაგეგმვა, რაც ეფუძნება საგანმანათლებლო ხარისხის სტანდარტებს, სტუდენტთა რაოდენობას და უნივერსიტეტის სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას გამოსაყენებელი პარამეტრები

2.1. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული მოწყობა - სასწავლო, დამხმარე ფართი და გარე სივრცე;

ბ) რესურსებით უზრუნველყოფა - ადამიანური რესურსი (აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი) და მატერიალური რესურსები.

გ) შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები;

დ) პროგრამებზე ჩარიცხვის (მ/შ ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებით, გამოცდების გარეშე და მობილობით) მსურველ პირთა რაოდენობა, ჩარიცხვების სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა;

ე) მობილობის, სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენის სტატისტიკა და დინამიკა;

ვ) პროგრამის დასრულებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები (მათ შორის

სპეციალობით).

2.2. ინფრასტრუქტურული მოწყობის შეფასება ხორციელდება ამ დოკუმენტის მე-3 მუხლით განსაზღვრული პარამეტრებით.

2.3. უნივერსიტეტის რესურსებით უზრუნველყოფის შეფასება ხორციელდება ამ დოკუმენტის მე-4 მუხლით განსაზღვრული პარამეტრებით.

მუხლი 3. ინფრასტრუქტურული მოწყობის შეფასება

3.1. შენობის ინფრასტრუქტურის მოწყობის პარამეტრები მოიცავს შენობის ინფრასტრუქტურას სასწავლო და დამხმარე სივრცეს (შიდა და გარე რეკრეაციული სივრცეები).

3.2. ინფრასტრუქტურის მოწყობის შეფასებისათვის, პარამეტრების გაანგარიშება ხდება შემდეგ მაჩვენებლებზე დაყრდნობით:

ა) სასწავლო სივრცის თანაფარდობა სტუდენტთა არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან. ამ მიზნით ფასდება სასწავლო-კვლევითი პროცესისთვის გამოყოფილი ფართის სრული მოცულობა. სასწავლო სივრცეში თითოეულ სტუდენტზე გათვალისწინებული ფართი ერთი ცვლის პრიობებში შეადგენს არანაკლებ 2 კვ. მ-ს.

ბ) უნივერსიტეტის შენობის დამხმარე სივრცის ფართის პარამეტრების გაანგარიშება ხდება შემდეგ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: დამხმარე სივრცეში თითოეულ სტუდენტზე გათვალისწინებული ფართი შეადგენს არანაკლებ 0,5 კვ. მ-ს.

მუხლი 4. რესურსების შეფასება სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას

4.1. ადამიანური რესურსების შეფასებისას გათვალისწინებულია:

ა) აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტის რაოდენობასთან 1/20;

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტის რაოდენობასთან 1/40;

გ) აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტის რაოდენობასთან 1/30;

დ) მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტის რაოდენობასთან 1/40;

ე) ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან 1/50;

ვ) მაგისტრანტების სამეცნიერო ხელმძღვანელთა რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან 1/7;

ზ) დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელთა რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან 1/3;

თ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის თანაფარდობა პროგრამის მოწვეულ პერსონალთან არანაკლებ 50%

ი) საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიანი და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში არანაკლებ 5 აკადემიური პერსონალი უნდა იყოს აფილირებული, ხოლო სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში არანაკლებ 5 (მ/შ მინიმუმ 3 აფილირებული პროფესორი ან/და აფილირებული ასოცირებული პროფესორი);

4.2. მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფილია სწავლა-სწავლების პროცესის უწყვეტობა და ხარისხი, მათ შორის ცვლების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.3. უზრუნველყოფილია აუდიტორიების, ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, პერსონალის სამუშაო სივრცისა და სხვა ინფრასტრუქტურის რელევანტური რესურსის დადასტურება. მათ შორის გათვალისწინებულია:

ა) კომპიუტერების რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან ერთი ცვლის პირობებში 1/20;

ბ) ბიბლიოთეკაში სამუშაო ადგილების რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან არაუმეტეს 1/40;

მუხლი 5. რესურსების შეფასება მედიცინის მიმართულებით სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას

5.1. მედიცინის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები, საგანმანათლებლო

პროგრამის სპეციფიკა, უნივერსიტეტის, საუნივერსიტეტო კლინიკის და პრაქტიკის ობიექტების ლაბორატორიული და კლინიკური ბაზების რესურსები.

5.2. გარდა წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი სტუდენტთა კონტინგენტის დათვლის პროცესში გამოსაყენებელი მინიმალური მახასიათებლებისა, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამებზე დამატებით გათვალისწინებულია შემდეგი მაჩვენებლები:

ა) საუნივერსიტეტო, აფილირებულ ან/და სასწავლო სამედიცინო დაწესებულებებში - ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების მიმწოდებელ კლინიკებში, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა.

ბ) საუნივერსიტეტო/სასწავლო კლინიკასა და/ან აფილირებული კლინიკაში (ხელშეკრულების საფუძველზე), პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის განმავლობაში არის შემდეგი:

- ☐ თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1/10
- ☐ ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1/10
- ☐ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1/10
- ☐ პედიატრიის დეპარტამენტში - 1/10
- ☐ რეანიმაციის/ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში - 1/6

გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისთვის ლაბორატორიის და/ან სხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის გამტარიანობა - არანაკლებ 5 სტუდენტისა;

ე) ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) სადგურების რაოდენობა არანაკლებ 12;

5.3. დაწესებულება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვის განსაზღვრისას იყენებს დატვირთვის ეკვივალენტის განსაზღვრის (Full time equivalent (FTE) მეთოდოლოგიას.

მუხლი 6. სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის დაგეგმარების საფუძველი

6.1. საგანმანათლებლო პროგრამებზე ყოველწლიური მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტის მე-2 და მე-3 მუხლებით დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე.

6.2. სამიზნე ჯგუფების რაოდენობისა და პროგნოზირებისათვის გამოყენებულია მრავალფაქტორიანი რეგრესული განტოლება.

$$y_t = \beta_0 + \beta_1 X_{1t} + \beta_2 X_{2t} + \beta_3 X_{3t} + \beta_4 X_{4t} + \beta_5 X_{5t} + \mu_t$$

სადაც,

y_t - უნივერსიტეტში სტუდენტების რაოდენობა t დროში;

X_{1t} - ჩარიცხული სტუდენტების (საქართველოს მოქალაქე) რაოდენობა t დროში;

X_{2t} - უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების რაოდენობა t დროში;

X_{3t} - უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა t დროში;

X_{4t} - მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა t დროში;

X_{5t} - სტატუსაღდგენლი სტუდენტების რაოდენობა t დროში;

μ_t - შეცდომის პირობა.

6.3. უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მოდელი:

$$\text{კონტინგენტი} = \text{MIN}\ (A, B, C, D) \times AF$$

სადაც,

AF არის მორგების ფაქტორი (0.95)

A - აუდიტორიული რესურსით განსაზღვრული ლიმიტი

B - საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსით განსაზღვრული ლიმიტი

C - პერსონალით განსაზღვრული ლიმიტი

D. საბიბლიოთეკო რესურსით განსაზღვრული ლიმიტი

6.4. სტუდენტთა მიღების გეგმების კორექტირება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდებით, გამოცდების გარეშე მსურველ პირთა რაოდენობის, მობილობის, სტატუსის აღდგენის და პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგად.

6.5. ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მიზნით უნივერსიტეტი იყენებს შემდეგ ინსტრუმენტებს:

დანართი №1 - სტუდენტთა კონტინგენტის პროგნოზირების მოდელი

დანართი №2 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მოდელი საერთო საუნივერსიტეტო დონეზე

დანართი №3 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მოდელი მედიცინის პროგრამისთვის.

მუხლი 7. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის პროცედურა

7.1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი.

7.2. თითოეულ ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტთან კონსულტაციით, კრიტერიუმებზე დაფუძნებულ ანალიზისა და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ყოველწლიურად მზადდება წინადადება პროგრამის მისაღები კონტინგენტის შესახებ.

7.3. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტი ახდენს უნივერსიტეტის საერთო კვოტასთან ვერიფიკაციას მთლიანი კონტინგენტის გადაჭარბების რისკების გამორიცხვის მიზნით.

7.4. ფაკულტეტის საბჭო, დეკანის წარდგინებით (რომელიც მოიცავს თითოეული პროგრამისთვის კვოტის დასაბუთებას) განიხილავს თითოეულ პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, გამოცდებისათვის კოეფიციენტებს და მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

7.5. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს და ამტკიცებს პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. საჭიროების შემთხვევაში, ითხოვს დამატებით განმარტებებს ან ცვლილებებს. საბჭო ადგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კონტინგენტს, თითოეული პროგრამის მიხედვით განსაზღვრული ზღვრული რაოდენობების დაჯამებით.

7.6. დამტკიცების შემდეგ ფაკულტეტის დეკანები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში პასუხისმგებელნი არიან დადგენილი კონტინგენტის შესრულებაზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კი მონიტორინგზე და შედეგების ანალიზზე მომდევნო ციკლისთვის.

მუხლი 8. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ინიცირების პროცედურა

8.1. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ინიციატივა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პროცესის ნაწილს და ეფუძნება ინსტიტუციური განვითარების გრძელვადიან ხედვას, საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობასა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მიზანს.

8.2. ინიცირების საფუძვლები:

8.2.1. კონტინგენტის ზრდის სტრატეგიული მიზანშეწონილობის განხილვის ინიცირება შესაძლებელია შემდეგი საფუძვლებით:

ა) უნივერსიტეტის ახალი სტრატეგიული გეგმის მომზადებისა ან განახლების პროცესში;

ბ) ყოველწლიური ინსტიტუციური თვითშეფასების ფარგლებში გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით;

გ) საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ან არსებული პროგრამების განახლების პროცესში;

დ) შიდა კვლევებისა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით;

ე) სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის აღდგენის, შეჩერების, შეწყვეტის, კურსის დასრულებისა და მობილობის დინამიკის გათვალისწინებით.

8.3. საკონსულტაციო პროცესის უზრუნველყოფა:

8.3.1. სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის ინიცირების შემთხვევაში, რექტორი უზრუნველყოფს საკონსულტაციო პროცესის ორგანიზებას ყველა რელევანტური სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობით.

8.3.2. საკონსულტაციო პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს კომპლექსური ინფორმაციისა და ანალიზის მიწოდებას, რაც მოიცავს:

ა) არსებული კონტინგენტის მონიტორინგის მონაცემებს;

ბ) შიდა და გარე კვლევების შედეგებს;

გ) შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და სხვა ფაქტორების ანალიზს, რომლებიც შეიძლება განაპირობებდეს კონტინგენტის ზრდის მიზანშეწონილობას.

8.4. სამუშაო ჯგუფის შექმნა და წინადადების მომზადება:

8.4.1. რექტორი ქმნის სპეციალიზებულ სამუშაო ჯგუფს, რომელიც ხელმძღვანელობს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის ინიცირების პროცესს.

8.4.2. სამუშაო ჯგუფი ამზადებს კონტინგენტის ზრდის შესახებ დასაბუთებულ წინადადებას, რომელიც ეფუძნება არსებულ მონაცემებს, რესურსების შეფასებას და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საჭიროებებს.

8.5. მომზადებული წინადადება წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად.

8.6. წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება

8.6.1. წარმომადგენლობითი საბჭო განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ წინადადებას, აფასებს წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძვლიანობასა და სტრატეგიულ მიზანშეწონილობას.

8.6.2. განხილვის შედეგად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, გაუწიოს რეკომენდაცია რექტორს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის წარსადგენი დოკუმენტაციის შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ, რაც მიზნად ისახავს ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შეცვლას/გაზრდას.

8.7. შემდგომი მოქმედებები

8.7.1. 8.6.1. რექტორის გადაწყვეტილებით იწყება დოკუმენტაციის სრულყოფის, შესაბამისი დასაბუთებისა და საგანმანათლებლო პროგრამებზე კონტინგენტის გაზრდის შესახებ წინადადების ოფიციალური მომზადების პროცესი, რომელიც წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განსახილველად.

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის ინიცირების პროცედურის ვიზუალიზაცია



მუხლი 9. პერსონალის კონტინგენტის განსაზღვრისას გამოსაყენებელი პარამეტრები

9.1. აკადემიური/მოწვეული პერსონალის საჭირო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შესაბამისი საფეხურისა და სწავლის სფეროს სპეციფიკა;

ბ) პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა;

გ) არსებული სტუდენტების რაოდენობა;

დ) პროგრამის დაგეგმილი მისაღები კონტინგენტი;

ე) წამყვანი საერთაშორისო პრაქტიკა და გამოცდილება.

9.2. უნივერსიტეტში დადგენილია შემდეგი სამიზნე ზღვრული ნიშნულები:

ა) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ 1/6-ს;

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური პერსონალის მთლიან რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ 1/3-ს;

გ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ 1/20-ს;

დ) აფილირებული აკადემიური პერსონალის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ 1/40-ს;

ე) მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტის რაოდენობასთან არანაკლებ 1/40-ს;

ვ) ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან 1/50;

ზ) აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან შეადგენს არაუმეტეს 5/1-ს;

თ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა ადმინისტრაციული პერსონალის მთლიან რაოდენობასთან შეადგენს არაუმეტეს 10/1-ს;

ი) აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ 10/1-ს;

კ) აკადემიური პერსონალის თანაფარდობა დაწესებულების პერსონალის მთლიან რაოდენობასთან 1/5

ლ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა შეადგენს არანაკლებ 1/7-ს;

მ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით სამეცნიერო ხელმძღვანელებისა

და დოქტორანტების თანაფარდობა შეადგენს არანაკლებ 1/3-ს;

ნ) აკადემიური პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის სტუდენტების რაოდენობასთან შეადგენს არანაკლებ 1/30-ს;

9.3. ახალი ან/და განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას 9.2. პუნქტით გათვალისწინებული ნიშნულების შესრულება.

9.4. ერთი და იგივე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ითვლება ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომელშიც მონაწილეობს შესაბამისი სფეროს გათვალისწინებით.

9.5. შესაძლებელია განსხვავებული ნიშნულების დადგენა სპეციალური ხასიათის პროგრამებისთვის, რომელთა სწავლის შედეგები მოითხოვს სპეციფიკურ მიდგომებს.

9.6. დასაშვებია განსხვავებული მაჩვენებლები ახალი პროგრამის განვითარების ან სრულად ამოქმედების პირველ ეტაპზე, რაც უნდა იყოს გარდამავალი პერიოდით რეგულირებული.

მუხლი 10. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაგეგმვის პროცედურა

10.1. ყოველწლიურად ან საჭიროებისამებრ თითოეული ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)თან კოორდინირებით ამზადებს ანალიზს ადამიანური რესურსების საჭიროებების შესახებ, რომელიც ეფუძნება:

ა) პროგრამის სტუდენტთა არსებული რაოდენობისა და მისაღები კონტინგენტის პროგნოზს;

ბ) აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვისა და დატვირთვის წილების ანალიზს;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებულ მონაცემებსა და რეკომენდაციებს.

10.2. ფაკულტეტის დეკანის მიერ მომზადებული ანალიზი განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, სადაც განისაზღვრება ახალი აკადემიური პოზიციების ან მოწვეული პერსონალის საჭიროება და მოწმდება ზღვრული ნიშნულების შესაბამისობა.

10.3. ფაკულტეტის საბჭოს მიერ შეთანხმებული მონაცემები წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც აძლევს შემდგომ მსვლელობას დადგენილი წესების შესაბამისად.

10.4. ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი აორგანიზებს აკადემიური კონკურსის გამოცხადებისა და პერსონალის შერჩევის პროცესებს.

10.5. აკადემიური კონკურსის გამოცხადებისა და პერსონალის შერჩევის პროცესებზე კონტროლის

უზრუნველყოფას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 11. მეთოდოლოგიის დოკუმენტის გადახედვა

11.1. რეკომენდებულია, სტუდენტთა კონტიგენტის ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის 3 წელიწადში ერთხელ გადახედვა, რომლის ფარგლებში უნდა შეფასებდეს:

ა) მათემატიკური მოდელის რელევანტურობა და ეფექტიანობა.

ბ) არსებული სტატისტიკური მონაცემებზე და საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით სტუდენტთა კონტინგენტის პროცესში გამოსაყენებელი პარამეტრები, ფაქტორების და მინიმალური მახასიათებლები.

გ) სტუდენტთა კონტინგენტის ოდენობის განსაზღვრის პროცესში გამოსაყენებელი მონაცემთა შეგროვების სისტემის ეფექტიანობა.

11.2. შეფასების შედეგებზე დაფუძნებით საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცება, ცვლილებები და დამატებები ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებითა და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნების შესაბამისად.

წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელი ნაწილია:

- დანართი №1 - სტუდენტთა კონტინგენტის პროგნოზირების მოდელი
- დანართი №2 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მოდელი საერთო საუნივერსიტეტო დონეზე
- დანართი №3 - სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მოდელი მედიცინის პროგრამისთვის.